სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

23041167567113

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N130614674

რეგისტრაციის თარიღი

20.06.2013 წ

ნოტარიუსი: რუსუდან მინდიკაური
მისამართი: ქ.თბილისი, კალოუბნის ქ. #6, I სართული
ტელეფონი: 276 21 81

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათას ცამეტი წლის ოც ივნისს მე, საქართველოს ნოტარიუსს რუსუდან მინდიკაურს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, კალოუბნის ქ.№6, პირველი სართული, მომმართა ბ-ნმა **გია კახიძემ**, როგორც შპს **„არწივი 08“**-ის დირექტორმა (შპს **„არწივი 08“**-ის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, საიდენტიფიკაციო კოდი 406093668, გაც. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, ამონაწერის მომზადების თარიღი 22/05/2013 15:37:52, განაცხადის ნომერი: 617695, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B13051394), რომელმაც მოითხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ბ-ნმა **გია კახიძემ** (დაბად. 13.10.1974წ., მისამართი: თბილისი, გროზნოს 7, ბ/ნ №01030023083, ტელ.: 558 63 63 54) მომმართა. მე, აგრეთვე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობასა და უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე ბ-ნ **გია კახიძეს**, მან განაცხადა, რომ მინდობილობის ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს და შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი ქვემოაღნიშნულ მინდობილობას:

მინდობილობა

მე, **გია კახიძემ** (დაბად. 13.10.1974წ., მისამართი: თბილისი, გროზნოს 7, ბ/ნ №01030023083, ტელ.: 558 63 63 54), როგორც შპს **„არწივი 08“**-ის დირექტორმა ბ-ნ **კახაბერ კახიძეს** (დაბად. 27.11.1975წ., მისამართი: თბილისი, აკ.წერეთლის 43/22, ბ/ნ №01007008573), როგორც შპს **„არწივი 08“**-ის ერთპიროვნულ დამფუძნებელს

მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

1. ბ-ნი **კახაბერ კახიძე** უფლებამოსილია, რომ მან ჩემი, როგორც შპს **„არწივი 08“**-ის დირექტორის, სახელით საქართველოში ნებისმიერ ბანკში, მათ შორის **სს „საქართველოს ბანკში“, მის ფილიალებსა და სერვის-ცენტრებში** გახსნას ან დახუროს ნებისმიერი სახის ანგარიში, მართოს და განკარგოს – შეიტანოს, გამოიტანოს, გადარიცხოს, მოახდინოს კონვერტაცია, შპს **„არწივი 08“**-ის ანგარიშზე რიცხული ფულადი თანხები ნებისმიერ ვალუტაში, აგრეთვე ისარგებლოს ინტერნეტ ბანკის მომსახურებით, მოახდინოს ინტერნეტ ბანკის ცვლილებების განხორციელება, აღნიშნულთან დაკავშირებით აწარმოოს ნებისმიერი სახის საბანკო ოპერაციები, მიიღოს (წერილობითი ან ელექტრონული ფორმით) ამ ანგარიშებთან და ანგარიშებზე წარმოებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია (ამონაწერი ანგარიშიდან, ინფორმაცია ანგარიშზე ფულადი სახსრების მოძრაობის და ნაშთების შესახებ).
2. ბ-ნი **კახაბერ კახიძე** უფლებამოსილია, რომ მან ჩემი, როგორც შპს **„არწივი 08“**-ის დირექტორის, სახელით შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რომლის განხორციელების უფლებამოსილება აქვს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას საქართველოს კანონმდებლობის და საზოგადოების წესდების შესაბამისად. ამ მიზნით იგი წარმოადგენს მარწმუნებელს ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, აწარმოოს მოლაპარაკებები, გააფორმოს და/ან გააუქმოს ნებისმიერი სახის ხელშეკრულებები, ხელი მოაწეროს ნებისმიერ ხელშეკრულებას/დოკუმენტს, მიღება-ჩაბარების აქტებს, აგრეთვე იყოს ჩემი წარმომადგენელი სანოტარო ბიუროში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სამეწარმეო რეესტრში, სსიპ შემოსავლების სამსახურში, მოახდინოს ელექტრონულ დეკლარირებასთან დაკავშირებული აღრიცხვიანობის რეგისტრაცია, მოახდინოს ბიუჯეტთან ანგარიშსწორება, ჩააბაროს დეკლარაციები, აიღოს შედარების აქტები და აწარმოოს შესაბამისი საქმიანობა.
3. ბ-ნი **კახაბერ კახიძე** უფლებამოსილია, რომ მან ჩემი, როგორც შპს **„არწივი 08“**-ის დირექტორის, სახელით ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შეიტანოს განცხადებები, ცნობები, ნებისმიერი დოკუმენტი, მიიღოს ყველა საჭირო დოკუმენტი, გადაიხადოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები, ხელი მოაწეროს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც საჭირო გახდება აღნიშნული დავალებების შესასრულებლად.
4. მინდობილობა შედგენილია და ხელმოწერილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი რჩება ნოტარიუსის რ.მინდიკაურის სანოტარო ბიუროს არქივში, დანარჩენი გადაეცა - ბ-ნ **გია კახიძეს**.
5. **მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მარწმუნებლის მიერ მის გაუქმებამდე.**
6. მარწმუნებელს შეუძლია ნებისმიერ დროს გააუქმოს აღნიშნული მინდობილობა, რისთვისაც საჭირო გახდება გაცემული მინდობილობის ყველა ეგზემპლარის წარდგენა სანოტარო ბიუროში.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" საქართველოს მთავრობის 29.12.2011წ, №507 დადგენილების თანახმად, 31-ე მუხლის შესაბამისად 10.00 (ათი) ლარი და 39-ე მუხლის საფუძველზე - სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2.00 (ორი) ლარი.

ხელმოწერა: ✓ გია კახიძე

ნოტარიუსი: / რუსუდან მინდიკაური /